15.08.2013

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები
2012 წელი (დაზუსტებული)

დაზუსტებული მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2012 წელს 912 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 5 პროცენტით აღემატება 2012 წლის წინასწარ მონაცემს და 2011 წლის დაზუსტებული მაჩვენებლის 82 პროცენტს შეადგენს.

დიაგრამა №1

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2006-2012 წწ.
(მლნ. აშშ დოლარი)



დიაგრამა №2



ცხრილი №1 ასახავს პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და საინვესტიციო ნაკადების კვარტალურ დინამიკას 2011-2012 წლებში. 2012 წელს საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემომავალმა ნაკადებმა 1430 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

ცხრილი №1

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2011-2012 წწ. (მლნ. აშშ დოლარი)

	I	II	III	IV	**2011**	I	II	III	IV	**2012**
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, სულ	**210**	**248**	**317**	**343**	**1117**	**261**	**218**	**199**	**234**	**912**
მათ შორის:										
შემომავალი ნაკადები	315	334	437	509	**1596**	358	312	345	414	**1430**
ინვესტორის მიმართ ვალდებულებების შემცირება	-106	-86	-121	-166	**-478**	-97	-95	-146	-180	**-518**

2012 წელს რეინვესტიციის ოდენობამ მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 13 პროცენტი შეადგინა. ცხრილი №2 ასახავს რეინვესტირებული თანხების წილს მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში 2006-2012 წლებში.

ცხრილი №2

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეინვესტიცია საქართველოში 2006-2012 წწ.

	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012
რეინვესტიციის წილი მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში (%)	5,4	2,4	4,9	-8,4	28,1	30,0	13,2

დიაგრამა №3



2012 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 72 ქვეყნიდან განხორციელდა. 2011 წელს აღნიშნულმა მაჩვენებელმა 65, ხოლო 2010 წელს 62 ქვეყანა შეადგინა. 2012 წელს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები ასე განაწილდა (ცხრილი №3).

ცხრილი №3

ძირითადი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნები საქართველოში 2012 წლის მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)

	I	II	III	IV	**2011**	**I**	II	III	IV	**2012**
სულ	**209,7**	**248,3**	**316,6**	**342,6**	**1 117,2**	**261,2**	**217,7**	**199,0**	**233,7**	**911,6**
მათ შორის:										
გერმანია	7,0	7,1	7,0	4,4	**25,5**	129,4	3,8	-2,7	8,3	**138,8**
გაერთიანებული სამეფო	39,3	5,2	5,8	4,7	**55,0**	24,4	13,5	15,7	40,0	**93,6**
თურქეთი	16,1	21,9	27,5	10,0	**75,5**	6,2	15,9	40,1	18,9	**81,1**
საერთაშორისო ორგანიზაციები	8,7	23,2	11,3	51,7	**94,9**	12,0	0,1	46,6	4,8	**63,5**
აზერბაიჯანი	19,9	29,5	42,9	45,7	**138,0**	14,7	25,7	-4,6	23,2	**59,0**
ლუქსემბურგი	2,3	1,8	9,1	30,0	**43,3**	25,8	5,9	2,1	8,2	**42,0**
საუდების არაბეთი	-	-	-	2,0	**2,0**	9,3	-1,0	2,0	29,2	**39,5**
კვიპროსი	19,9	1,3	2,4	-13,3	**10,4**	22,0	6,1	6,1	4,4	**38,7**
ჩინეთი	3,1	0,4	4,1	2,1	**9,6**	2,2	1,0	17,9	15,0	**36,1**
ნიდერლანდები	39,4	20,5	108,1	73,8	**241,8**	-98,7	68,7	33,7	31,7	**35,4**
დანარჩენი ქვეყნები	53,9	137,4	98,4	131,4	**421,2**	113,7	77,9	42,3	50,0	**283,9**

დიაგრამა №4



10 უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნის წილმა 2012 წელს 69 პროცენტი შეადგინა. პროცენტულ სტრუქტურას განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით გვიჩვენებს სექტორული დიაგრამა №4, რომლის მიხედვით პირველ ადგილზე გერმანია იმყოფება 15 პროცენტით, მეორეზე - გაერთიანებული სამეფო 10 პროცენტით, მესამეზე - თურქეთი 9 პროცენტით.

დიაგრამა №5

უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების წილი 2012 წელს



2012 წელს ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ენერგეტიკის სექტორში განხორციელდა და 179 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილება ეკონომიკის სექტორების მიხედვით მოცემულია ცხრილში №4:

ცხრილი №4

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2011-2012 წლებში (მლნ. აშშ დოლარი)

	I	II	III	IV	**2011**	I	II	III	IV	**2012**
სულ	**209,7**	**248,3**	**316,6**	**342,6**	**1 117,2**	**261,2**	**217,7**	**199,0**	**233,7**	**911,6**
მათ შორის:										
ენერგეტიკა	38,4	-7,5	82,4	90,7	**204,0**	29,7	59,2	45,0	45,5	**179,4**
დამამუშავებელი მრეწველობა	48,1	23,5	18,3	30,5	**120,3**	70,9	33,8	19,9	43,4	**167,9**
საფინანსო სექტორი	37,6	26,7	47,8	55,5	**167,7**	65,5	15,6	48,9	32,6	**162,6**
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	0,7	60,6	28,5	36,7	**126,5**	-8,2	47,7	21,9	11,4	**72,8**
მშენებლობა	20,3	22,6	4,5	0,7	**48,1**	0,8	4,3	8,6	28,2	**41,8**
უძრავი ქონება	3,4	38,2	-0,1	47,6	**89,2**	9,9	9,6	-0,4	21,0	**40,1**
სასტუმროები და რესტორნები	16,0	10,9	2,9	-7,2	**22,7**	5,0	10,4	0,2	2,1	**17,7**
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	3,8	1,0	13,3	-1,3	**16,8**	3,2	2,2	-0,4	12,5	**17,6**
სოფლის მეურნეობა, თევზჭერა	2,3	2,4	6,1	4,1	**14,9**	4,8	5,2	5,0	1,0	**16,1**
სამთომოპოვებითი მრეწველობა	20,5	-6,6	11,6	14,7	**40,2**	8,1	-14,4	10,4	0,7	**4,9**
დანარჩენი სექტორები	18,7	76,4	101,2	70,5	**266,8**	71,5	44,0	39,8	35,4	**190,8**

2012 წელს 2011 წელთან შედარებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მზარდი ტენდენცია აღსანიშნავია დამამუშავებელი მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ჯანდაცვის სექტორებში.

ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2012 წელს განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პროცენტული განაწილება მოცემულია დიაგრამაში №6.

დიაგრამა №6



ცხრილი №5

მშპ და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

	2007	2008	2009	2010	2011	2012
მშპ მიმდინარე ფასებში (მლნ. აშშ დოლარი)*	10 171,9	12 800,5	10 767,1	11 636,5	14 438,5	15 829,7
პირდაპირი უცხოური ინვესტიცია (მლნ. აშშ დოლარი)	2 014,8	1 564,0	658,4	814,5	1 117,2	911,6
პირდაპირი უცხოური ინვესტიციის წილი მშპ-ში (%)	19,8	12,2	6,1	7,0	7,7	5,8

*2012 წლის მშპ-ის მონაცემები წინასწარია.

2012 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილმა მშპ-ში 6 პროცენტი, 2011 წელს 8 პროცენტი და 2010 წელს 7 პროცენტი შეადგინა.

წყარო:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (სტატისტიკური გამოკვლევა „საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესახებ“);
2. საქართველოს ეროვნული ბანკი;
3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
4. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური;
5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

შენიშვნა: ცალკეულ შემთხვევებში მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

განმარტება: ინვესტორის მიმართ ვალდებულების შემცირებაში იგულისხმება დივიდენდების გაცემა, სავაჭრო კრედიტის დავალიანების დაფარვა, სესხისა და პროცენტის თანხის გადახდა.

საინფორმაციო ფურცელი

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური აწარმოებს ბიზნეს სუბიექტების საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სტატისტიკურ გამოკვლევას კვარტალური და წლიური პერიოდულობით. აღნიშნული კვლევის შედეგების საფუძველზე გაიანგარიშება ქვეყნისათვის ისეთი მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური მაჩვენებელი, როგორიცაა საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.

კვარტალური გამოკვლევის საფუძველზე მიღებული მონაცემები, როგორც წესი, წინასწარია და ექვემდებარება დაზუსტებას წლიური გამოკვლევის შედეგებით. კერძოდ, საქსტატი წინასწარ წლიურ მონაცემებს ანგარიშობს ოთხი კვარტალის შეჯამებით, ხოლო წელიწადში ერთხელ ატარებს წლიური პერიოდულობის გამოკვლევას (სტატისტიკური გამოკვლევა „მონაცემები საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესახებ“). მიღებული შედეგების საფუძველზე წარმოებს კვარტალური მონაცემების შესწორება და დაზუსტებული წლიური მაჩვენებლების გაანგარიშება.

საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 2012 წლის დაზუსტებული მონაცემები წინასწართან შედარებით 5 პროცენტით არის გაზრდილი, რაც ძირითადად გამოწვეულია საწარმოების მიერ საანგარიშგებო პერიოდის საბალანსო მონაცემების დაზუსტებით.

საქსტატი მადლობას უხდის საწარმოებს თანამშრომლობისათვის.

საკონტაქტო პირი: ლია ძებისაური, ტელ.: (+995 32) 36 72 10 (300). E-mail: ldzebisauri@geostat.ge info@geostat.ge
www.geostat.ge, info@geostat.ge